



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 104

2016 წლის 27 ოქტომბერი

ხაშური



საკრებულოს ფრაქცია „ხაშურის აღორძინების“-ის გაუქმების ცნობად მიღების შესახებ


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურის აღორძინება“ (ფრაქციის თავმჯდომარე - პავლე ლაცაბიძე) წევრმა გიზო ტალახაძემ (არჩეული „ლეიბორისტული პარტიის“ სიით, ამჟამად უპარტიო) დატოვა ფრაქცია (წარმოდგენილია განცხადება), რის შედეგადაც ფრაქციაში დარჩა სამ წევრზე ნაკლები, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზემოხსენებული ფრაქცია ითვლება გაუქმებულად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცნობად იქნეს მიღებული ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხაშურის აღორძინების“ /თავმჯდომარე პავლე ლაცაბიძე / გაუქმება 2016 წლის 20 ოქტომბრიდან.

2. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე